საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 22 0000051119

21/01/2022

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმის " ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის,„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაყოფა დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას ან არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო

პროგრამის/პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები არ განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უწყვეტობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში მიეთითება აკრედიტაციის ვადის დასაწყისი (გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღი), რომელიც, საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან დარჩენილ მიმდინარე აკრედიტაციის ვადის დასრულების მომდევნო დღიდან ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან დარჩენილ მიმდინარე აკრედიტაციის დასრულებამდე არსებული კონრეტული თარიღიდან.

2. **აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 18 აგვისტოს N98 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ა(ა)იპ - ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის №2021/803 (ცენტრში რეგისტაციის №310063) წერილით წარმოდგენილ იქნდა თვითშეფასების ანგარიში „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" და "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული (შემდგომში - №69/ნ ბრძანება) "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2.3. შესაბამისობაში მოყვანის პროცესში „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

2.4. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკ ური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის №1385051 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	√			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 30 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა, საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდიანრე, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება მიზანშეწონილია, რომ შეწყდეს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე “ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გაიყო „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" და "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებად.

3. **სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, თხუთმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2.მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: საექთნო საქმის ბაკალავრი;

3.1. „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე “ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გაიყოს 2 საგანმანათლებლო პროგრამად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" და "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;

5. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 21 იანვრის №50198 სხდომის ოქმის №04 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი №3).

7. **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.
2. რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.
3. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით.

4. რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა, რათა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან შესაბამისობა;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული ქულების ურთიერთშესაბამისობა (გამოირიცხოს ქულის მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მინიმალურ დონეზე ცოდნას და/ან უნარებს ვერ ადასტურებს).

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები იყოს ფორმულირებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.
2. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით
3. სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ადგილზე პრაქტიკული გამოცდის შეფასების მექანიზმი
4. სასურველია სილაბუსებს თან ერთვოდეს შეფასების თანამედროვე მეთოდების OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) და OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) დანერგვასთან დაკავშირებით შემუშავებელი გეგმა, შესაბამისი ჩექლისტებით

8. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 30 დეკემბერს.

9. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 18 აგვისტოს N98 გადაწყვეტილებით აკრედიტებული პროგრამა, ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღადან.

10. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



დანართი№1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 18 აგვისტოს №98 გადაწყვეტილება
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით	ფიზიკურ მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	0159 თბილისი, ბოხუას ქ. 9 ; ბოხუას ქ. 11; საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 30 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2023 წლის 18 აგვისტო